

დნმ-ის დღე 2021 ესეების კონკურსი



წესები

რას გულისხმობს დნმ-ის დღესთან დაკავშირებული ესეების კონკურსი

60 წელზე მეტია რაც ჯეიმს უოტსონის და ფრენსის კრიკმა აღწერეს დნმ-ის ორმაგსპირალური სტრუქტურა. 25 აპრილი არის დნმ-ის საერთაშორისო დღე, რომელიც უკვე 10 წელზე მეტია, რაც ადამიანის გენეტიკის ევროპის და აშშ-ს საზოგადოებებმა დაანესეს და მათივე ორგანიზებით მთელ მსოფლიოში აღინიშნება ესეების კონკურსით.

წელს საქართველოში მეშვიდედ ჩატარდება ესეების კონკურსი, რომელიც მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტები ბიოსამედიცინო პროფილის უნივერსიტეტებიდან. კონკურსის ორგანიზატორები არიან თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი და სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოება.

ესეების კონკურსი ემსახურება გენეტიკაში ცოდნის გაღრმავებას და გენეტიკის მიმართულებების პოპულარიზაციას საქართველოში. კონკურსის მიზანია სტუდენტი გამომწვევის წინაშე დააყენოს, დააფიქროს გენეტიკური კვლევების როლზე და მისი გამოყენების მნიშვნელობაზე მედიცინის და საზოგადოებისთვის. ესე უნდა შეცავდეს არსებით, კარგად დასაბუთებულ არგუმენტებს, რომელიც დაადასტურებს სტუდენტის მიერ იმ საკითხის ღრმა ცოდნას, რომელიც კონკურსში გამოცხადებულ თემებს შეეხება.

სანამ დაიწყებთ გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ წესებს !

მონაწილეები

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სამედიცინო და ბიოლოგიური პროფილის სტუდენტებს. ასაკი შეზღუდული არ არის. ესეების კონკურსი ქართულენოვანია.

უნდა აირჩიოთ ორიდან ერთ-ერთი თემა

თემები 2021:

თემა I

ბიობანკების შექმნა (ე.წ. „ბიობანკინგი“) გულისხმობს ბიოლოგიური ნიმუშების და მასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებას, კვლევას, შენახვას და გაზიარებას.

„ბიობანკინგი“ დიდი მონაცემთა ბაზების ეპოქაში ხელს უწყობს პროგნოზული, პრევენციული და პერსონალიზებული მედიცინის განვითარებას, რათა უზრუნველყოს თითოეული პაციენტის შესაბამისი მკურნალობა შესაბამის დროს.

იმსჯელეთ, რა შეიძლება იყოს დნმ-ბიობანკების პოტენციური სარგებელი; როგორ უნდა გამოვიყენოთ ბიობანკების და გენომური კვლევების მონაცემები უფრო ეფექტურად მკურნალობის ოპტიმიზაციის, დაავადებების დიაგნოსტიკის და ახალი პრევენციული მეთოდების შემუშავების მიზნით. ასევე, იმსჯელეთ ეთიკურ საკითხებზე. რა შეიძლება იყოს ბიობანკების შექმნის პროცესში საზოგადოების წევრების მონაწილეობის (მაგ., იმ პირების, რომლებმაც თავიანთი დნმ გაიღეს სამეცნიერო კვლევებისთვის) შესაძლო უარყოფითი მხარე.

თემა II

ერთეული ნუკლეოტიდური პოლიმორფიზმები (SNPs) პოპულაციაში ყველაზე გავრცელებული გენეტიკური ვარიანტებია. მათი უმეტესობა გავლენას არ ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. თუმცა გენომის გაფართოებული ასოციაციური კვლევებით (GWAS, Genome-Wide Association Studies) დადგინდა, რომ ზოგი ეს გენეტიკური ვარიანტი დაკავშირებულია ისეთი კომპლექსური დაავადებების განვითარების რისკთან, როგორცაა გულ-სისხლძარღვთა დარღვევები, დიაბეტი ან კიბო. გარდა ამისა, მკვლევრებმა აღმოაჩინეს გენეტიკური ვარიანტები, რომლებიც განსაზღვრავს გენეტიკურ წინასწარგანწყობას ინფექციური დაავადებებისადმი ან განაპირობებს მედიკამენტებზე განსხვავებულ რეაქციას.

შეარჩიეთ ერთ-ერთი კომპლექსური დაავადება და იმსჯელეთ გენომის გაფართოებული ასოციაციური კვლევების (GWAS) შედეგად იდენტიფიცირებული SNP-ის მნიშვნელობაზე შერჩეული დაავადების განვითარებაში.

ესე უნდა პასუხობდეს ამ ორი საკითხიდან ერთ-ერთს (სხვა საკითხებთან დაკავშირებული თემები არ განიხილება)

თითოეული ესე შეიძლება წარადგინოს არაუმეტეს ორმა ავტორმა

პრიზები

პირველი ადგილი - 300 ლარი

მეორე ადგილი - 200 ლარი

მესამე ადგილი - 100 ლარი

მნიშვნელოვანი თარიღები

15 თებერვალი – ესეების კონკურსის გამოცხადება

10 აპრილი – ესეების წარდგენის ბოლო ვადა

25 აპრილი – გამარჯვებულების გამოვლენა (შედეგები გამოქვეყნდება ვებ საიტზე: www.geneticsgeorgi.org და ფეისბუქ გვერდზე: [@geneticsgeorgia](https://www.facebook.com/geneticsgeorgia))

ესეების წარდგენის წესები

- ესეს წარდგენის ბოლო ვადაა 2021 წლის **10 აპრილი** 24:00 სთ;
- ნაშრომი უნდა გამოგზავნოთ ელ. ფოსტაზე: dnaday.essay@gmail.com
(რის შემდეგაც მიიღებთ დადასტურების წერილს)
- ნაშრომი უნდა იყოს pdf ფორმატში და მოიცავდეს პირველ (სატიტული) გვერდს, სადაც აღნიშნული იქნება გვარი, სახელი, სასწავლო დაწესებულების დასახელება, ფაკულტეტი, კურსი, ტელ. ნომერი, ელ.ფოსტა, ესეს თემა
- ფაილს უნდა მიანიჭოთ სახელწოდება შემდეგი თანამიმდევრობით: **გვარი_სახელი_ესეს ნომერი (1 ან 2)_ dnaday_ essay_ 2021** (გვარი, სახელი ინგლისურ ენაზე).

ნიმუში: Kiknadze_Ana_1_dnaday_ essay_ 2021;

- ველში “ საგანი (subject)” მიუთითეთ: **თქვენი გვარი_სახელი (ინგლისურად)_ესეს ნომერი (1 ან 2)_ dnaday_ essay_ 2021.**

ნიმუში: Kiknadze_Ana_1_dnaday_ essay_ 2021;

- მიამაგრეთ pdf ფაილი და გამოგზავნეთ.

დაგვიანებით წარდგენილი ესეები არ განიხილება.

შენიშვნა:

ყველა ნაშრომის მიღებული იქნება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით, რაც გულისხმობს პლაგიატის (სხვისი ნაშრომის ან აზრის გამოყენება ციტირების გარეშე) გამოვლენას. ნაშრომი, რომელიც შეიცავს პლაგიატის ნიშნებს მოხსნილი იქნება კონკურსიდან. დასაშვებია APA ან MLA სტილით ციტირება (იხ. ციტირების წესები)

უნდა გამოიყენოთ რამდენიმე **მაღალი ხარისხის** ლიტერატურა

ციტირების წესები:

ციტირება უნდა მოხდეს MLA ან APA სტილით.

- ფრჩხილში ციფრი მიუთითებთ ნაშრომის ბოლოს ჩამოთვლილი ლიტერატურის სიის შესაბამისად.
- ან ფრჩხილში მიუთითებთ ავტორის გვარი და წელი, მაგ., (Harris et al., 2001).
- ლიტერატურის სია შედგენილი უნდა იყოს ალფავიტის მიხედვით და შემდეგი თანმიმდევრობით:
 - ავტორის გვარი/ები,
 - წელი
 - სტატიის სათაური,
 - წყარო (ჟურნალის დასახელება)
 - ჟურნალის ნომერი
 - გვერდები

ნიმუში: Berndt, T. J. (2002). Friendship quality and social development. *Current Directions in Psychological Science*, 11, 7-10

გაითვალისწინეთ:

ციტირების დროს არ უნდა შეიცვალოს ორიგინალის შინაარსი.

თუ რაიმეს დაამატებთ ფრჩხილებში თქვენი ინიციალები უნდა აღნიშნოთ მაგ., (დამატება; ა.ნ.)

ძალზე მნიშვნელოვანია:

შესათვალისწინებელია არ ჩაითვლება ნაშრომი, რომელიც შედგება მხოლოდ (ან დიდწილად) ციტირებული ტექსტისგან (მონაცემებისგან). შეფასების დროს გათვალისწინებული იქნება თქვენი მსჯელობა და არა სხვისი ნაშრომის არსის გადმოცემა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გამოყენებული წყაროების მიუხედავად, ძირითადი არსი თქვენს მიერ იყოს ჩამოყალიბებული.

ფორმატი

ესეს ტექსტი არ უნდა შეიცავდეს **750 სიტყვაზე მეტს** (სათაურის და ლიტერატურის სიის გარეშე).

ტექსტი უნდა იყოს **ქართულ ენაზე** სილფაენით დაბეჭდილი, MS Word-ში და pdf-ზე დაკონვერტირებული, 12 შრიფტით, სტრიქონებს შორის შუალედი 1,5.

ნებადართულია ერთი შესაბამისი გრაფიკის ან სურათის დართვა და სტუდენტის ერთი სურათის დართვა. გრაფიკის ან სურათის განმარტებები ჩაითვლება 750 სიტყვის ნაწილად.

ესე pdf ფორმატში უნდა გამოგზავნოთ ელ. ფოსტაზე dnaday.essay@gmail.com

დამატებით კითხვებთან დაკავშირებით მოგვმართეთ თსსუ-ის მოლვეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტში, ტელ: 599298168, ელ.ფოსტა: geoepigene@gmail.com

შეფასება

ესეს შეფასებს სულ მცირე ორი დამოუკიდებელი ექსპერტი

შეფასებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

- გენეტიკური შინაარსის სიზუსტე (0-7 ქულა)
- არგუმენტის მხარდასაჭერად მტკიცებულებების გამოყენება (0-3 ქულა)

- არის თუ არა ფოკუსირებული მოცემულ საკითხზე (0-3 ქულა)
- წერის ხარისხი (მკაფიო თეზისები, შინაარსი) (0-5 ქულა)
- გამოყენებული ლიტერატურა და ციტირება (0-2 ქულა)

ქულათა მაქსიმალური რაოდენობა - 20 ქულა

შეირჩევა სამი გამარჯვებული I, II და III ადგილებზე. ყველა მონაწილე მიიღებს მონაწილეობის სერტიფიკატს. გამარჯვებულები გამოვლინდებიან 25 აპრილს. მათი ფოტოები და ესეები გამოქვეყნდება ვებ საიტზე: www.geneticsgeorgia.org.

წარმატებებს გისურვებთ!